" ც ნ ო ბ ი ს   ფ უ რ ც ე ლ ი "

იუნკერთა ორგანო

ოქტომბერი 1957 წ.

ქ. პარიზი

№ 4

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

# გენერალ ზახარიაძის ხსოვნას.

1957 წ. I5 მაისს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ საფრანგეთში გარდაიცვალა ,თავისუფალი საქართველოს ,მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ა.ზახარიაძე.

ქართველ მხედართა კავშირის თაოსნობით, აწ ნეტარებულის ცხედარი გადმოსვენებული იქმნა ქ.აბონდანის თავშესაფარიდან და დაკრძალული I8 მაისს ქ.ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

დასაფლავებას დაესწრნენ: ჩვენი ყოფილი მთავრობის წევრები,საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარ-სარდალი გენერალი კვინიტაძე, პოლონეთის მხედრობის წარმომადგენელი გენ.ვ.პიეკარსკი და ღრმად დამწუხრებული მრავალი ქართველობა.

თაიგულებით და გვირგვინებით შემკულ კუბოს წინაშე, საფრანგეთში მყოფ ქართველ მხედართა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ყოფილმა იუნკერმა ვ.ბაქრაძემ,გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვეს : ქართული კოლონიის სახელით, სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-ნ ე.პატარიძემ და პოლიტიკურ დაჯგუფებათა სახელით ბ-ნ ნოე ცინცაძემ და პ.სარჯველაძემ.

I9 მაისს პარიზის ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც ქართველების გარდა დაესწრნენ უცხოელების მხედართა ორგანიზაციები: საფრანგეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის,უკრაინის და თავისუფალ უაზანების .

მოძღვარმა მამა ილიამ წარმოსთქვა ფრიად გრძნობიარე სიტყვა. პანაშვიდის შემდეგ საფრანგეთში მყოფ ქართველ მხედართა კავშირის თავმჯდომარემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრე უცხოელ მეგობრებს. მხედართა კავშირმა მიიღო სამძიმრის ბარათები გერმანეთის, ინგლისის და ამერიკის ქართულ კოლონიებისაგან. მიღებულ იქმნა აგრეთვე სამძიმრის ტელეგრამა თავისუფალ პოლონეთის ძალების მთავარ-სარდალის გენ.ვ.ლ.ანდერსისა და მისი მთავარი შტაბის უფროს გენ.კოპანსკისაგან.

გენ.ზახარიაძე ეკუთვნოდა ქართველ ოფიცერთა იმ თაობას რომელსაც დაევალა ფრიად ძნელი და მძიმე საქმე : I9I8 წელში განთავისუფლებულ საქართველოს ნაციონალურ ჯარების შექმნა და ძელი ქართული მხედრობის დიდების აღდგენა. ძნელი და მძიმე, მაგრამ რამდენად საამაყო და სანატრელი დავალება. ჩვენი უფროსი მხედრები გენ.ოდიშელიძის ,გენ.კვინიტაძის, გენ.ანდრონიკაშვილის, გენ.ზახარიაძის და მათ ახლო თანამშრომლების ხელმძღვანელობით, მთელი თავიანთი ენერგიით, გულით და სულით ჩაებნენ ამ სასიქადულო საქმეში და უკვე რამდენიმე თვის შრომის შემდეგ, ახლად შედგენილი ქართული ჯარის ნაწილები, მედგრად იგერიებდნენ ჩვენ საზღვრებზე მომდგარ მტრებს.

სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოს ხან მოკლე არსებობამ, ყოველ გვარ მატერიალურ საშუალებათა სიმცირემ და იქნებ ჩვენმა გამოუცდელობამ, ხელი შეუშალა ქართული ლაშქრის სიძლიერე საჭირო დონეზე ასულიყო, რომ გამკლავებოდა ჩვენ საზღვრებზე კვლავ მოზღვავებულ რუსის ურდოებს. I921 წ. თბილისის გარშემო ბრძოლები და ოკუპაციის შემდეგ მრავალი თავგანწირული აჯანყებები მოწმობენ,რომ მიუხედავათ უამრავ დაბრკოლებებისა, ჩვენმა სამხედრო ხელმძღვანელებმა მაინც შესძლეს ძველი ქართული მხედრული თვისებების აღდგენა, ჩვენი ერის მემკვიდრეობით ნაანდერძევი,ძლიერი პატრიოტული შეგნება და შეურყეველი ბრძოლის სურვილი რუსების ბატონობის წინააღმდეგ.

ვერავითარი პროპაგანდა,ვერავითარი რეჟიმი და შემოსეულ ჯარების ძალმომრეობა ქართველ მხედრების გულში გაღვივებულ ამ გრძნობებს ველარ ამოშლის .

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

ღენ.ზახარიაძემ ამ დიდ ეროვნულ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა და ამით დაიმსახურა მთელი ჩვენი ერის ,და განსაკუთრებით ქართველი მხედრების პატივისცემა და სამარადისო ხსოვნა.

უცხოეთში გადმოხვეწილი ღენ.ზახარიაძე განაგრძობს ზრუნვას ჩვენი მომავალი ჯარების მომზადებისთვის. მეგობარ პოლონელების ჯარში,მთავრობის დავალებით, ის თანამშრომლობს მთავარ შტაბთან და ამავე დროს ხელმძღვანელობს პოლონეთში მყოფ ქართველ ახალგაზრდა ოფიცრების და იუნკრების სწავლა-განათლების საქმეს.

არ მოიპოვება არცერთი პოლონელი ოფიცერი რომელიც იცნობდა ღენ.ზახარიაძეს რომ არ იხსენიებდეს მას დიდის მოწიწებით და პატივისცემით. თავის ნიჭით, ცოდნით და კეთილშობილებით, მან მტკიცე ხიდი ააგო ორ მეგობარ ერის , პოლონეთის და საქართველოს შორის.

დაკრძალვამ მიიღო ერთგვარი ტუვე ერთა ურთიერთ შორის სოლიდარობის ხასიათი. მის პანაშვიდზე, ჩვენ ეროვნულ დროშას გვერდს უდგნენ საფრანგეთის და პოლონეთის მხედართა დროშები, დღეს დამონებულ ერთა წარმომადგენლებით გარშემორტყმული. ეს იყო დადასტურება ის სულიერი კავშირის საითკენაც ჭეშმარიტად განათლებული კაცობრიობა მიისწრაფვის და მათთან ერთად საქართველოც .

ქართველი მხედრობა და თავისუფალი სკოლის იუნკრები მოწიწებით თავს იხრიან მათი მვირფასი უფროსის და დიდი ქართველის ცხედრის წინაშე.

---

" თავისუფლების საფასური "
/ პერსპექტივები /

ატომის ენერგიის შემენა და მსოფლიო ემანსიპაცია ჩვენი დროის დამახასიათებელი მოვლენებია.

ამ ჟამად, ემანსიპაცია ეხება კაცობრიობის სამ უდიდესს ჯგუფს : ქალებს, ინდუსტრიის მუშებს და კოლონიალურ ერებს.

დღეს ქალი მამა კაცს ეჯიბრება მის მიერ და მისთვის შექმნილ სარბიელზე, მამა კაცი კი, მეტადრე ანგლო-საქსონელ ქვეყნებში ხშირად ჩართულია ქალის ოჯახურ საქმიანობაში.

ინდუსტრიის მუშათა ემანსიპაციას შედეგად მოჰყვა სწავლა განათლების სწრაფი გავრცელება და მისი სათანადო მოწყობის გართულება.

წარმოიშვა საჭიროება სკოლების სხვა და სხვა დონეზე დაყენების, როგორც მასებისთვის, ისე ნიჭიერ ბავშვებისთვის. აგრეთვე წარმოიშვა დისციპლინის შეგნება და დამყარდა ახალი დამოკიდებულებანი მუშებსა და მათ მმართველ ორგანიზმებს შორის.

კოლონიალური ერების განთავისუფლებამ მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად დახმარების აღმოჩენა, მწვავე და საჩქარო საჭიროებათ გახადა,რათა ეს ჩამორჩენილი და უსახსრო ერები კომუნიზმს არ ჩაეთრია თავის წიაღში.

ატომის ენერგიის ხმარება და მისი სავსებით დამორჩილების საკითხი კაცობრიობას უდიდესს საშიშროების წინაშე აყენებს.

მსოფლიო ისტორიის მანძილზე,მრავალ ერებმა აიტანეს სიმშილი,სიცივე და სიბნელე,მოსჭამეს თავიანთი დრო და გაჰქრნენ. თითქო ყველა ეს ერები,კმაყოფილნი თავიანთ ხვედრით, ცხოვრების დუხჭირ პირობებს ბუნებრივ მოვლენათ სთვლიდნენ.

დღეს კაცობრიობა ემანსიპაციის ასაკში იმყოფება, ის მასები რომელნიც წინად პასიურად იტანდნენ თავიანთ ხვედრს,ამოძრავდნენ და ამ ამოძრავებამ მსოფლიო შეარყია.

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

ორი საუკუნეა მხოლოდ რაც ეს გამოღვიძება დაიწყო დასავლეთ ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამ ნახევარი საუკუნის წინეთ კაცობრიობა ჯერ კიდევ ევროპიელთა მცირე ჯგუფის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და მის ბედ-იღბალს,უპირატესობით აღჭურვილი უმცირესობა კერძო ინტერესების მიხედვით განაგებდა.

დღეს კი ამ მმართველ წრეში შეიჭრნენ მრავალი სხვა წრის წარმომადგენელნი, სახელდობრ ქალების,მუშათა კლასის და სამხრეთ ამერიკის , აზიის და აფრიკის დამშეული გლეხობის.

ეს ემანსიპაცია იწვევს დიდ არევ-დარევას და კაცობრიობისაგან მოითხოვს ფსიქოლოგიურ გარდაქმნას და შეგუების უნარის გამოჩენას.

სქესთა შორის ტრადიციული ურთი-ერთობის პირობები ძირითადათ იცვლება და ქალს აწვება ამ ემანსიპაციის გადასახადი ფასი, ისევე როგორც სასოფლო მეურნეობის დასაწყისში ,ქალი ასრულებდა მინდორში შრომის დიდ ნაწილს და ამავე დროს მას ოჯახური საქმიანობა და ბავშვების მოვლა ჰქონდა მინდობილი. ტეხნიკური საშუალებათა განვითარებამ, არსებობისთვის ბრძოლის პირობები ძირითადათ შესცვალა ; მკლავის ღონე აღარ არის იმდენათ საჭირო და მის მაგივრად მეხანიკური ძალის გამოყენებამ შესცვალა შრომის ასპარეზზე ,ქალისა და კაცისთვის მიჩნეული როლი.

უკანასკნელ ომის დროს, კაცის მუშა ხელის სიძვირემ გამოიწვია ქალის იძულებითი ემანსიპაცია და ამას მოჰყვა ქალისთვის ნამდვილი რევოლუცია, არა მარტო ეკონომიური, არამედ სოციალური და ფსიხოლოგიური. მაგრამ, ამის ფასს ქალი იხდის ფსიხოლოგიური წნევის და ზედმეტი ჯაფის ატანით.

ის სფერო რომელშიაც ქალი შეიჭრა ,მამა კაცის სფერო იყო. მან ეს საუკუნეთა განმავლობაში, მოაგვარა და მოაწყო თავის მამაკაცური ბუნების შესაფერად; ეხლა კი, როცა ქალი შევიდა მამა კაცის მსოფლიოში, იძულებული შეიქმნა იქ არსებულ პირობებს შეჰხამებოდა. გარდა ამისა, დღემდე დიასახლისს არ დაჰკლებია,ოჯახურ საქმიანობაში დამხმარე ქალის ხელი, რომელიც სოციალურ წყობილების მიხედვით, იყო ან მონა,ან მოახლე, ნათესავი ან მეზობელი. დღეს კი, ქარხანამ და პროფესიონალურ ცხოვრებამ დამხმარე ხელი ოჯახს წაართვა.

ექიმი, ინჟინერი, ვექილი თუ მუშა ქალები ალბად ვერ შესძლებენ ოჯახში მუშაობას და ამავე დროს თავიანთ პროფესიონალურ მოვალეობათა შესრულებას. შექმნილი ცხოვრების პირობების კეთილად მოგვარება მოითხოვს,მამა კაცის მიერ, ახალი წვლილის გაღებას. ვინაიდან ცხოვრების რაციონალურად მოწყობა და სხვა და სხვა ნაირ საოჯახო მანქანების ხმარება, დიასახლისს მხოლოდ ნაწილობრივ უმსუბუქებს შრომას, მაგრამ მას სავსებით ვერ ანთავისუფლებს, საჭირო ჰხდება ოჯახში დამხმარე ხელის შოვნა. რადგან ქალები, კაცებთან ერთად მუშაობენ ქარხნებში, სასოფლო მეურნეობაში და სხვა და სხვა ლიბერალურ ასპარეზზე, კაციც იძულებული ჰხდება მიიღოს მეტი მონაწილეობა ოჯახურ საქმიანობაში და ამ რიგად გადაიხადოს ემანსიპაციის ბაჟი.

ეს ორმხრივი რევოლუცია სქესთა შორის, ეჭვს გარეშეა დიდ გავლენას იქონიებს დასავლეთ ერების იდეებზე, საგრძნობ ცვლილებებს შეიტანს მათ აზროვნებაში და ღირებულებათა შეფასებაში.

როგორი იქნება ქალების გავლენა პოლიტიკურ დარგში. უთუოდ, არჩევნებში მათი ხმა საგრძნობ გავლენას იქონიებს.
თუ როგორი იქნება მათ მიერ არჩეულთა მიდგომა ომის,აღზრდის და სარწმუნოების საკითხების მიმართ, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ასე, ამ რიგად კაცობრიობის ხვა ჯგუფთა ემანსიპაცია კიდევ მრავალ სხვა საკითხებს წარმოშობს.

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

პოლიტიკურ და ეკონომიურ მიხწევებისთვის ხანგრძლივი ბრძოლის განმავლობაში, მუშათა კლასმა შეიგნო რომ მისი ძალა მის მასებზედ იყო დამყარებული; ამავე დროს მან შეიგნო დარაზმვის და დისციპლინის საჭიროება, ამ ძალის დანიშნულ დღეს და სასურველ მიზნის მისაღწევად მოსახმარად. ამ რიგად, მუშათა კლასის ემანსიპაცია იმავე მიმართულებით მიდის რომლითაც ეკონომიური მექანიზაცია, რომელიც აგრეთვე მოითხოვს დისციპლინას, იწვევს აღრიცხვას, დარაზმვას და ერთგვარ ზღუდავს კერძო და პირად თავისუფლებას. ამ მხრივ დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობაა საჭირო რომ შექმნილმა ორგანიზმებმა და ბიუროკრატიამ თავისუფლება საფრთხეში არ ჩააგდოს.

მუშათა კლასმა კარგა ხანია იცის რომ მისი მხსნელი მხოლოდ ერთობა არის, აზიის ,აფრიკის, და ამერიკის დამორჩილებული ერებიც დღეს მიჰხვდნენ ამ ჭეშმარიტებას, და თავიანთ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესაცვლელად, მოუთმენლად იბრძვიან.

კოლონიალურ ერების განთავისუფლება,ან ნებით და შეთანხმებით მოხდება ან და ნაციონალიზმით გამწვავებულნი, იარაღით ხელში, აჯანყებით, ტერორით და კომუნისტურ ძალების გამოყენებით მოიხვეჭენ თავიანთ უფლებას.

ფრიად სანეტარო იქნება იმ ხანის მოსწრება,როდესაც ყველა ძველი ზღუდეები და უსამართლობა მოისპობა და პოლიტიკურ და სოციალურ უთანასწორობას ბოლო მოეღება, მაგრამ ამავე დროს შიშით შევყურებთ მომავალს და თუ რა მოჰყვება ამ სოციალურ ატომის აფეთქებას.

კაცობრიობის უზარმაზარი ძალები, მომწყვდეულნი სოციალურ ატომში დღეს თავისუფლდებიან. ეს ძალები, წარმოშვებული ადამიანის რთული ბუნებიდან არ ემორჩილებიან მატერიალურ ატომის კანონებს, და ვინ შესძლებს წინასწარ სთქვას თუ რა მიმართულებას მიიღებს მოზვავებული განთავისუფლებული ძალები.

ამ ქვეყნად ყველაფერს თავის ფასი აქვს. ჩვენი დროის უდიდესს მოთხოვნილებას წარმოადგენს მშვიდობიანობა და მყუდროება.

ჰიტლერი შეეცადა და დაჰპირდა,დასავლეთის ერებს, ამის მინიჭებას, მაგრამ ამის ფასად ის მოითხოვდა მსოფლიო ნაზისმს და გერმანეთს დამორჩილებოდა . ამ ფასის გადახდა კი მსოფლიოს ძვირად ეჩვენა და არჩია ბრძოლა. მაგრამ საშინელმა ომმა საბოლოოდ ვერ გადასჭრა საკითხი და კაცობრიობის მისწრაფება ვერ დააკმაყოფილა. პირიქით, ატომის ყუმბარის გამოგონებამ მშვიდობიანობის სურვილი და საჭიროება უფრო გააძლიერა. თუ კომუნისტური და არა კომუნისტური მსოფლიო ვერ შეთანხმდნენ ამ მშვიდობიანობის დასამყარებლად, იქნებ გაცილებით უფრო ძვირი დაგვიჯდეს ვიდრე ჰიტლერი მოითხოვდა.

მშვიდობიანობის დამყარება მოითხოვს მსხვერპლის გაღებას და აგრეთვე ემანსიპაციაც; ამ რიგად კოლონიალურ და ჩამორჩენილ ერთა ემანსიპაცია და მათი ცხოვრების პირობების ძირიანად შეცვლა, აუცილებელ საჭიროებათ ჰხდება. თუ დასავლეთ ერთა მესვეურნი კაცობრიობის ჩამორჩენილ უმრავლესობას არ დაეხმარა მათ ემანსიპაციის პროცესში, ან თუ ემანსიპაციაზე უარი უთხრა, მაშინ სრულიად მოსალოდნელია ამ უმრავლესობამ კომუნიზმისკენ იბრუნოს პირი და მის გავლენის ქვეშ, საშინელ ძალად იქცეს.

ამ პოლიტიკური საფრთხის გარდა, დასავლეთს უფრო ღრმა მიზეზი აქვს რომ სამართლიან სოციალურ მოთხოვნილებებზე უარი არ სთქვას. ეს ძირითადი მიზეზი არის დასავლეთის შეგნება და რწმენა ადამიანის პიროვნების მიმართ. ეს შეგნება მიღებულია და ღრმად ჩანერგილი დასავლეთ ერების დიდ უმრავლესობის გულში. დემოკრატიული ქვეყნები მზად არიან იბრძოლონ და თავიც შესწირონ ადამიანის უფლებების დაცვას. მაშ, უაზრო და მავნებელია მსოფლიო ემანსიპაციას წინ გადაველობოთ და ხელი შევუშალოთ, თუმცა ასეთი ბუმბერაზი მოძრაობა ცხადია დიდს საშიშროებას წარმოადგენს

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

და დიდს მსხვერპლსაც მოითხოვს.

კაცობრიობის ბედ იღბლის მესაჭეობა ყოველთვის ძნელი საქმე იყო, მაშინაც კი, როდესაც მმართველნი ,ცოდნით და გამოცდილებით იყვნენ აღჭურვილნი; დღეს კი, ევროპიელ მმართველი წრის გამოცდილება, ახალ შემოჭრილმა და გამოუცდელ მასებმა გააქარწყლა; ქალების, მუშათა კლასის და კოლონიალურ ერების წარმომადგენელნი, პირველად გამოსულნი მსოფლიო მმართველობის ასპარეზზე, მოითხოვენ თავიანთ მისწრაფებათა დღესვე განხორციელებას.

იქნებ დემოკრატია ადამიანის ბუნებრივი უფლება არის, მაგრამ მისი წესიერად, რეალურ ცხოვრებაში გატარება, შეუძლებელია თუ ხალხს და მის ხელმძღვანელთ პრაქტიკული გამოცდილება და მომზადება აკლიათ.

ჩვენ ხშირად დავესწარით, მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეებში, პოლიტიკურ ცვლილებათა დამაღონებელ შედეგებს; თეორიტიულად განთავისუფლებული ხალხი, პოლიტიკურ ავანტიურისტების და დიქტატორების მსხვერპლნი გახდნენ. ეს იმიტომ რომ ხალხმა არ იცოდა მოპოვებულ უფლებათა გამოყენება და მათი დაცვა.

მაგალითად, რუსეთში I9I7 წლის პირველი რევოლუციის მიზანი იყო ხალხისთვის მიეცა დასავლეთის მსგავსი კონსტიტუციონალური მთავრობა. რატომ დამარცხდა ეს ლიბერალური რეჟიმი რამოდენიმე თვის შემდეგ . რატომ დამყარდა უფრო მკაცრი ხელისუფლება და რატომ შეინარჩუნა ძალა ამ ახალმა დესპოტიზმა ორმოცი წლის მანძილზე.

იმიტომ რომ I9I7 წლის რუსეთში არ არსებობდა და ვერც დღეს ვხედავთ, საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის, საკმარისად გამოცდილს და მომზადებულ ხალხს. თვალი გადავავლოთ რუსეთის დღევანდელ კონსტიტუციას, რომელიც ვითომ ძალაშია. ეს კონსტიტუცია, თეორიტიულად, იმავე უფლებებს აძლევს რუსეთის მოქალაქეთ რომელსაც მათ აძლევდა კერენსკის მთავრობა, და იმავე უფლებებს რომლითაც დღეს ამერიკის, ინგლისი და საფრანგეთის მოქალაქენი არიან აღჭურვილნი.

მაგრამ, ნამდვილი დემოკრატიის დამყარება და არსებობა რუსეთში, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი როდესაც ამ ქვეყნის მოქალაქენი შესძლებენ მის შეგნებას და გამოყენებას. ეს კი არა მგონია რომ მალე მოხდეს.

მეორე საშიშროებას წარმოადგენს ფსიქოლოგიური წნევა რომელსაც სწრაფი ემანსიპაცია და ცხოვრების პირობათა რევოლუციური გარდაქმნა გამოიწვევს.

საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, ჩემი მოგონებიდან, რომ ნათლად დავახასიათოთ ის ეკონომიური, სოციალური და ფსიქოლოგიური რევოლუცია რომელიც ,რამოდენიმე წელიწადია მმვინვარებს აფრიკა და აზიაში. ამ ქვეყნების ხალხმა, ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე გადალახა ის მანძილი რომელსაც კაცობრიობამ საუკუნეები მოანდომა. ამ ხალხმა, ქვისა და რკინის ხანიდან, ერთი ნახტომით ამოჰყვეს თავის დღევანდელ ტექნიკურ ხანაში.

აფრიკაში, ავიონით მგზავრობის დროს, ჩემს გვერდით იჯდა ხანში შესული შავკანიანი ქალი, რომელიც აღიზარდა "ფეტიშები"ს, მზაკვრების და შემლოცველების გავლენის ქვეშ, მაგრამ დღეს ის ,ავიონით მიემგზავრება ქალაქში, სხვა და სხვა საქონელის, დიდის მომარაგებით, და მელავათიან ფასებში საყიდლათ. შემდეგ, ამ საქონელს ის თავის თემის სხვა და სხვა სოფლებში ყიდის, რა თქმა უნდა საგრძნობ მოგებით. მისი სიმდიდრე და ნდობა ბანკში გაცილებით მეტია, ვიდრე რომელიმე მის თანამგზავრ ევროპიელის. ის, თვალს ადევნებს სხვა და სხვა ბირჟებზე, შაქრის, ბამბის და მატყლის ფასებს. ეს ქალი, მისი ცხოვრების მანძილზე დაესწრო იმ ცვლილებებს რომელნიც ჩვენთვის, რამოდენიმე საუკუნის მანძილზე მოხდა.

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

ჩვენთვისაც კი ძნელია, დღევანდელ ცხოვრების ტემპის და ტეხნიკის სვლასთან შეჩვევა, რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ და ეკონომიურ ცვლილებათა ფსიქოლოგიურათ შეთვისებაზე. მაშ, რამდენათ მძიმე პირობებში უნდა ხდებოდეს ამ შავკანიან ქალის ფსიქოლოგიური გარდაქმნა. ამ სოციალურ და ეკონომიურ ცვლილებათა სწრაფათ შეგუება მხოლოდ აღზრდის და სწავლა განათლების საშუალებით შეიძლება, მაგრამ სწავლა განათლების განმათანასწორებელ საშუალებათ ხმარებას თავისი ნაკლი აქვს, რადგან უფრო ადვილია დაბალ დონეზე გათანასწორება, რომელიც უმრავლესობისთვის მისაწვდომია, ვიდრე მაღალ დონეს მიღწევა.

ინტელექტუალური თანასწორობის დამყარების მიზნით, განათლების დონეს დაწევა, კაცობრიობისთვის ფრიად საზარალო იქნება.

რამდენათაც, სასურველია ყველას მიეცეს კარგი აღზრდის საშუალება, რაც დღემდე მხოლოდ მდიდარ წრეების პრივილეგია არის, იმდენად სავალალო იქნება ნიჭიერ ბავშვების განათლების დაბალ დონეზე გაჩერება. აქედან იბადება სწავლა განათლების სათანადოთმოწყობის გართულება და სიძნელე, რომლის მოწმენიც ვართ ჩვენ დღეს.

ეხლა, თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო ემანსიპაციის მსვლელობას, ჩვენ წინ გადაიშლება მომავლის პერსპექტივები:

დადებით მხარეთ ჩვენ ვხედავთ სოციალურ უსამართლოთა მოსპობას, პოლიტიკურ თავისუფლებას და ეკონომიურ პირობათა გაუმჯობესებას.

უარყოფით მხარეთ კი მიგვაჩნია ის საშიშროება რომ ამ ემანსიპაციის მიერ გამოწვეულმა რევოლუციამ კაცობრიობის კიდობანი არ დაღუპოს; ეს საშიშროება ძალიან მოსალოდნელი და რეალურია, ვინაიდან თუ შეჯახება ატომის იარაღთა საშუალებით მოხდა, მაშინ შესაძლოა კიდობანი და მისი ტვირთიც სულ დაიღუპოს.

ამ რიგად, ადამიანის მიერ, ატომის ენერგიის სწორედ იმ დროს შეძენა როდესაც ემანსიპაცია მსოფლიოს საზომით ხდება, ამ შეძენას კაცობრიობისთვის უსაშიშროეს მიღწევად ქმნის.

თუმცა საშიშროება ადამიანის ბუნებრივი ხვედრია და იმ ახალ გზაზე, რომელიც კაცობრიობას გაეხსნა, მე ვფიქრობ უმჯობესია სწრაფი სვლა.

მომავალი გვეტყვის თუ განგების მიერ აღნიშნულ სარბიელს საკმაოდ მარჯვეთ გავივლით და ახალ ჯადოსნურ ენერგიას, ადამიანის საკეთილდღეოთ გამოვიყენებთ.

მხედარი.

## ქართული ენა. /შესავალი/

" საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა გაავრცელა ქართული ენა და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა გარდა ქართულისა, იმანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული" -მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება ქრისტეს დაბადებამდე სამი/საუკუნის წინ.

საუბედუროთ სხვა და სხვა არეულ დროთა განმავლობაში და მტერთა შემოსევის ჟამს, ქართული ლექსიკონი დაფურცლილა და დაკარგულა.

ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სულხან ორბელიანის მიერ შედგენილმა ლექსიკონმა, რომელიც გამოსცა რაფიელ ერისთავმა I88I წელს ალექსანდრე ეპისკოპოსის ხარჯზე და მისი დახმარებით.

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

"სულხან ორბელიანის ლექსიკონი ჩმლუნათ სრული არ არის რამდენადაც ქართული ენა ვრცელი და მდიდარია, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს ამ ქართული ლიტერატურისთვის შეკრებილ საუნჯეს" აღნიშნავს რაფიელ ერისთა-ვი.

თვითონ საბა სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: " მე სულხან საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრ-მესა, ფრიად შრომა მიმს ამა წიგნსა ზედა, რათა ქართველთა ენათა ლექსი-კონი აღარა იპოებოდა, რათა ჟამთა ვითარებათა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეფემან ვახტანგ მეხუთემ ქართულად სიტყვის კონა უწოდა. ვინაიდან პა-ტიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებითა ზედა გაერყვნათ, ვახტანგ მეფის ბიძამ, მეფემან გიორგიმ, მიბრძანა ამის ხელ-ყოფა..."

" აქ ლექსიკონი არ იყო დაცაჰკარგათ ქართველთა,
" უკრძალველობით ფურცელი, გაებნია ყე ქართ-ველთა,
" ახლად შევკრიბე, შევაწყვე ჩემი ვიშრომე სულ ხანი
" საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი."

სულხანის ლექსიკონი, რომლის შედგენას ავტორი 30 წელიწადს მოუნდა, შეიცავს I7.400 სიტყვას, ამათგან მხოლოდ 400 სიტყვა არის განუმარტავი.

" ამ წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არა კიცხვისათვის აღმიწერია, რათა საქირდლათ იხმარათ, არამედ ენისა სისრულისათვის. აღვწერე თუ უბრალო სახელი აღმოიხოცოს, მერმედ უდარესი მოაკლდეს უაღრესსა და ღმერთი და დარჩეს უკეთესი და სხვა არა რა რაი და შემცირდეს ენა ქართული."სწერს სულხანი თავის წინასიტყვაობაში.

" ზოგიერთ ეხლანდელ ნაწერებში / შენიშნავს რაფიელ ერისთავი/ შე-მორეულა უცხო ენის სიტყვები, რომლების სამაგიერონი და უფრო ნამდვილ-ნი მოიპოვებიან სულხან ორბელიანის ლექსიკონში, უმჯობესი იქნებოდა რომ უცხო ენის სიტყვები აღარ ამღვრევდნენ ქართულ ენას, მეტადრე როდე-საც თვით ამ ენაზე მოიპოებიან ჯეროვანნი და უფრო მარჯვე სახელწოდება-ნი." და შემდეგ დასძენს: " იქნება სთქვან რომ ზოგი ქართული სიტყვე-ბი დაძველებულან და გაუგებარნი არიანო, მაგრამ ჩემის აზრით სჯობს რომ ისევ ის ძველი სიტყვები განვაახლოთ და შემოვიტანოთ ლიტერატურაში სახმარებლად ვიდრე სხვა ენას დავესესხოთ; და თუ უცხო ენიდან იმგვარ სიტყვების შემოტანა დაგვჭირდა რომლებიც ქართულში სრულიად არ მოიპოე-ბიან, მაშინ ჩვენც ვისარგებლოთ იმ სიტყვებით, რომლების სესხებასაც არ თაკილობენ ჩვენზედ უფრო დაწინავებულნი და განათლებულნი ხალხნი."

დღეს, ქართულ ენაში 33 ასოს ხმარობენ და მათი გამოთქმის მიხედ-ვით შვიდ ჯგუფათ ჰყოფენ: ხმოვანად- ა,ე,ი,ო,უ - ნარ-ნარად; ბაგეთად: - ბ,მ,პ,ფ,-; ენის მწვერვალად: - დ,ზ,თ,ლ,ნ,რ,ს,ტ,ც,ძ,წ,-; საშუალო ენისა: გ,კ,ქ,ღ,ჩ,ხ,ჯ, და ყორუთა შინა :-ყ,ჰ,-; მეშვიდე კი ნახევარ ბაგეთა მოხრით:-ვ,ჟ,შ,ჭ-.

არიან ასონი რომელნიც თავშიც იხმარებიან და ბოლოშიც: აწევა, აკიდება, ატანა.- "თავადაც იქმნა ანი და ბოლოდაცა, უკეთუ ენებოს კაცსა ენოვანსა და სიტყვა მჭევრსა, რომელმან ქართულისა ენისა სისრუ-ლე იცოდეს და მიმოაქცევდეს."

ნ.თოხაძე.

/გაგრძელება იქნება/

ფარნაოზ ნაცვლიშვილის ხსოვნას .

" ფარნაოზ ნაცვლიშვილი გარდაიცვალა. დასაფლავება II დეკემბერს". აი, გულდამწურავი ცნობა გოგი ჯავახიშვილის მიერ გადმოცემული, ცივი მა ,თულების საშუალებით.

ეს ამბავი, ყოველ იუნკერს, მახვილ ისარივით გულში მოხვდება, მწარედ ამოიოხრებს და წარსულის მოგონებებს მიეცემა. ჩვენც აქ არ გვაქვს განზრახვა შაბლონიური ნეკროლოგის წერისა. ნეკროლოგი წერტილია, დაბოლოება და გამომშვიდობება. ჩვენ ფარნაოზს ასე ვერ გამოვეთხოვებით, მის სიცოცხლეს წერტილს ვერ დავუსვამთ, ის ჩვენთან ერთად იარსებებს და იმოქმედებს. ჩვენც, მკითხველთან ერთად მოგონებებს გვინდა გავყვეთ. ნუ მოვერიდებით, რა ვუყოთ რომ ბევრი მათგანი მწარეა, ეს შეიძლება ძველი მოშუშებული ჭრილობების გახსნაა, რომელსაც სისხლის დენა მოსდევს, დეე, იდინოს რაც სადენია, შემდეგ შეღავათს და დამშვიდებას ვიგრძნობთ.

ფარნაოზი ჩვენ იუნკერთა შორის განსაკუთრებული პიროვნებაა. იუნკერთა ცხოვრებაში და ტრადიციაში მას უზარმაზარი ადგილი უჭირავს. ფარნაოზი იუნკერთა ლამაზი სურათის გენიოსი შემოქმედის ის უკანასკნელი ხელის მოსმაა, რომლითაც ქმნილებას გარდაუვალ ღირებულებას აძლევს.

როდესაც წარსულის მოგონებას მივეცემით, ფარნაოზს ვერ ავცდებით. ბურთისკენ მურდულივით გაქანებული ფარნაოზი თვალ-წინ დაგვიდგება, ვხედავთ მის მოხდენილ დავლურს, გვესმის მისი ტკბილი "თამარ ქალო, ქვეყნის თვალო ", გვაგონდება მისი ახალგაზრდული ოინები.

ფარნაოზი, თუგნებავთ, ჩვენი ერის მარადისობის ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან იზრდებოდა რუსულ საზოგადოებაში– კადეტთა კორპუსში– შემდეგ კი ელისავეტგრადის სამხედრო სკოლაში, სადაც ყოველ სახის ქართული გამოვლინება სასტიკად იყო დევნილი, მან ჯერ კიდევ ნორჩმა, უზარმაზარი ხასიათის სიმტკიცით და სიკერპით მტკიცეთ დაიცვა და შეინარჩუნა ,ყოველ წვრილმანში, თავისი საყვარელი ქართული ბაასი და მაღალი ზნე.

თუ აქ ნება გვაქვს მისი სულიერი სამყაროს კარები ოდნავ მაინც შევაღოთ, შესაძლებელია ია და ვარდი მოფენილი ვერ დავინახოთ, სინაზე და სიტკბოება ვერ ვიგრძნოთ. ვაღიარებთ, ფარნაოზი იყო მკაცრი და უპირველესად ყოვლისა თავის პიროვნებისადმი. ეს სიმკაცრე ხშირად საზღვარს სცილდებოდა, მაშინ, როდესაც საჭირო იყო ეროვნული მეობის და ინტერესების დაცვა. თვითი იყო პირდაპირი, ჯიქურ მიმსვლელი, უმწიკვლო პატიოსანი, სწორი გზით მავალი და ამასვე მოითხოვდა მეგობრებისგანაც.

ფარნაოზის განვლილი ცხოვრების გზა დამახასიათებელია ჩვენი ხანისა და ჩვენი თაობის მწარე ბედისა. გატაცებული პატრიოტი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომელსაც საქართველოს მადლიან და ბარაქიან მიწაში, ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და მხოლოდ ამით ცოცხლობდა, ისტორიულმა ქარიშხალმა სიცოცხლის წყაროს უფესვოთ ამოგლიჯა, შორს გადაისროლა და მოუსვენრად აქანავებდა.

ფარნაოზი მუდმივ ჭრილობას თან ატარებდა, უფესვოთ სხვა მიწაზე დასჭკნა და ვერ გაიხარა , მაგრამ ისჩვენს ხსოვნაში მუდამ იარსებებს.

ვ.ბაქრაძე.

http://patrimoinearchives-georgie.blogspot.fr

# ოქმი მე-3-ე

4 აგვისტოს I957 წლის, ქ.სომურში მაიორ ვ. ვაჩნაძის ბინაზე შესდგა "იუნკერთა კავშირის" მორიგი კრება. კრებას დაესწრნენ : პოლკ. ნ.თახაძე, მაიორები: გ.ოდიშელიძე, ვ.ვაჩნაძე, ა.კინწურიშვილი და ა.ჯინჭარაძე. ბ-ნნი : შ.ნიკოლაძე, ვ.ბაქრაძე, ს.აბაშიძე. ბოდიში მოიხადა და ვერ დაესწრო ნ.ნიკოლაიშვილი.

სხდომის მიერ დასახულ მიზნების მიხედვით, კრება გაიყო ორ ნაწილად: პირველი ნაწილი, საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის, პოლკ. თახაძის ხელმძღვანელობით.

| I ნაწილის დღის წესრიგი: | კრების დადგენილებანი. |
|---|---|
| I. მოხსენება ი.კ-ის დაარსების თანდათანობითი პროცესის შესახებ.<br>2. ი.კ-ის წესდების მე-6 მუხლის კვლავ განხილვა და კონკრეტული დადგენილების გამოტანა.<br>3. წინადადება მომავალ გამგეობის პირველ ნაბიჯების შესახებ; სახელდობრ: ა/ გამგეობის შევსება, /მაიორ კინწურიშვილის მდივნობაზე უარის გამო/ ბ/საწევრო გადასახადის დადგენა. გ/ "ცნობის ფურცელი"ს ფორმა და შინაარსი. დ/ საანგარიშო ცნობების მოთავსება მომავალ ნომერში. ე/ თვითეული წევრის პიროვნული ფურცლის შედგენა: ხარისხი, სახელი და გვარი, იარაღი და სხვა ცნობები. | თავმჯდომარე და კრება მადლობას უცხადებს საინიციატივო ჯგუფის წევრებს თანამშრომლობისთვის.<br>თავმჯდომარე, ერთხელ კიდევ ხაზ-გასმით აღნიშნავს რომ ი.კ. წარმოადგენს წმინდა მეგობრულ ტრადიციულ დაჯგუფებას აპოლიტიკურს, წესდების ვიწრო ჩარჩოებში. |

მე-2-ე ნაწილი: სხდომას თავმჯდომარეობს მაიორი ვ.ვაჩნაძე.

| დღის წესრიგი. | დადგენილებანი |
|---|---|
| I. გამგეობის შევსება და შემადგენლობა. | I. ი.კ-ის თავმჯდომარე: ვ.ვაჩნაძე. თავმჯდომარის თანაშემწენი: ინგლისში და ამერიკაში, იქაურ წევრთა მიერ არჩეულნი. მთავარი მდივანი: ნ.თახაძე/ დროებით/ვინაიდან საჭიროა წევრთა მიერ დადასტურება/. მდივნის თანაშემწე: ვ.ბაქრაძე. მოლარე: გ.ოდიშელიძე. |
| 2. სარევიზიო კომისია. | 2. კომისიის თავმჯდომარე: ა.კინწურიშვილი. წევრები: შ.ნიკოლაძე ს.აბაშიძე. |
| 3. საწევრო გადასახადი. | 3. წლიური გადასახადი: საფრანგეთში I.000. ფრანკი. ინგლისში : I გირვანქა. ამერიკაში: 3 დოლარი. |
| 4. გადახდის წესი. | 4. Mr.VATCHNADZE Jean Ch.22.682.-<br>20, rue Petite Bilange<br>SAUMUR ( M.& L.)<br>ინგლისში და ამერიკაში შეგროვება და გამოგზავნა ევალებათ თავმჯდომარის ადგილობრივ თანაშემწეს. |

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

5. ცნობის ფურცლის ფორმა და შინაარსი.

სასურველია აგრეთვე ერთდროული შემოწირულება შეძლებისდაგვარათ.

5 პასუხისმგებელია მთავარი მდივანი, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევაში იწვევს კომისიას სადავო საკითხის გადასაწყვეტად.

6. ი.კ-ის წარმომადგენლობა ინგლისში და ამერიკაში.

6. ინგლისში და ამერიკაში მყოფ მეგობრებს ვთხოვთ დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელი რომელიც იქნება ი.კ-ის თავმჯდომარის თანაშემწე, და უფლება მოსცე .

ი.კ-ის მდივანი: ვ.ბაქრაძე.

ი.კ-ის თავმჯდომარე: ვ.ვაჩნაძე.
ქ.მატუ.
4 აგვისტო I957 წ.

---

I956 წლის ხარჯთ-აღრიცხვა

| შემოსავალი : | | გასავალი : | |
|---|---|---|---|
| ნ.ნიკოლაიშვილი – | I.000. ფრ. | გამოცემის ხარჯები №I – | 2.300. ფრ. |
| ს.აბაშიძე – | I.000. " | " " № 2 და 3 – | 4.666. " |
| ა.ჯინჭარაძე /ამერიკიდან/ – | 3.500. " | ლევ.ერისთავის სურათის კლიშე – | 2.500. " |
| ფ.ნაცვლიშვილი – | 2.500. " | სურათების დაბეჭდვა – | 2.500. " |
| ა.კინწურიშვილი – | 2.500. " | მირიან მეფის კლიშე – | 2.000. " |
| ნ.თოხაძე – | 5.625. " | მირიან მეფის ლია-ბარათების დაბეჭდვა – | 5.600. " |
| ვ.ვაჩნაძე – | 6.600. " | ნაცვლიშვილის პანაშვიდი | I.500. " |
| მ.ნიკოლაძე – | 2.700. " | მანქანის შესწორება – | 4.000. " |
| | 25.425. ფრ. | | 25.066. ფრ. |

დარჩა: 359.

I 9 5 7 წ.

| შემოსავალი : | | გასავალი : | |
|---|---|---|---|
| დარჩა I956 წ-ის | 359. ფრ. | მიშა კვალიაშვილის ამანათი/ტანისამოსი/ – | 4.225. ფრ. |
| ამერიკიდან გაზეთისთვის და მირიან მეფის ლია-ბარათების/ჯინჭარაძის მიერ შეგროვილი/ | 9.000. " | ლ.ზახარიაძის დამარხვის ფონდს – | 3.000. " |
| ვ.ხელაძე | 4.000. " | მე-4-ე №-ს გაზეთის გამოცემის და დაგზავნის ხარჯები – | 5.750. " |
| | I3.359. ფრ. | | I2.975. ფრ. |

კასაში დარჩა 20 ოქტომბერს : 4.484. ფრანკი.

---

მდივანი: ნ.თოხაძე
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე: ა.კინწურიშვილი

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr

## სხვა და სხვა.

I. ი.პ-ის გამგეობამ აღადგინა კავშირი მ.კვალიაშვილთან . მისი მისამართი : M. KWALIASZWILI
Ul. Owsiana 28 m.18, POZNAN 31.

საჭიროებს დახმარებას.

2. მ.კვალიაშვილის ცნობით მათიკაშვილი და თაყაიშვილი იმყოფებიან პოლონეთში. ვცდილობთ დაუკავშირდეთ. გ.იაშვილი დაბრუნებული გადასახლებიდან გარდაიცვალა თბილისში, ძმის ოჯახში.

3. ვეძებთ ცნობებს ბოკუჩავას შესახებ. გთხოვთ მოგვაწოდოთ. მისი უკანასკნელი მისამართი: Gr.BOKUTSCHAWA
Ober Wesen 56 STUTTGART
Hedelfingen

4. გთხოვთ, რაც შეიძლება მოკლე ხანში, გვაცნობოთ შემდეგი:
ა/ ვინ არის არჩეული გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწედ,
ბ/ ი.პ-ის წესდების პროექტის შესახებ თქვენი აზრი.
გ/ მოგაგონებთ რომ მთავარი მდივნის ნ.თოხაძის დამტკიცება საჭიროებს თქვენს დასტურს.

5. ამ ჟურნალის გამოცემა, მასალების უქონლობის გამო, მეტად გაგვიძნელდა. ამიტომ ვთხოვთ მეგობრებს დღეიდანვე იზრუნონ მომავალ ჟურნალის მასალაზე.

ეს გამოცემა სარგებლობს ხელთნაწერის კანონებით.

სარედაქციო მისამართი : Mr.Chota NICOLDZE
104, rue d'Assas
PARIS. VI-e .

http://patrimoine-archives-georgie.blogspot.fr